ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1733278

ნომერი: AR1282654

თარიღი : 04.02.2015

გაცემის თარიღი : 17.02.2015

გაცნობის თარიღი : 18.02.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება აეროდრომი , ქუჩა IV , N 3 , (ნაკვ. 4/25) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ლოსაბერიძე პ/ნ 01005006844
- თბილისი დავით ყიფიანის ქ. N 4 კორ. 1 ბ. 78

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 20.01.2015წ. №1688777 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 04/02/2015წ.

AR1282654 განაცხადით მომართა დავით ლოსაბერიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 20.01.2015წ. №1688777 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 20.01.2015წ. №1688777 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი–სამგორი, დასახლება აეროდრომი, ქუჩა IV, N3, (ნაკვ. N4/25), შპს "ბაუ სტარის" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N01.19.36.004.025) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 20 იანვრიდან 2017 წლის 20 იანვრის ჩათვლით. დამკვეთად დაფიქსირდა შპს "ბაუ სტარი".

განმცხადებლის განმარტებით, საპროექტო დოკუმენტაციაში, კერძოდ, საპროექტო ობიექტის გეგმებზე დატანილ ექსპლიკაციაში არასწორად იქნა მითითებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დღეისათვის, სამსახურს მომართავს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მთავარი არქიტექტორი და ითხოვს შევიდეს ცვლილება სამსახურის 20.01.2015წ. №1688777 ბრძანებაში და დაფიქსირდეს საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 414.57.

განმცხადებლის მიერ, ასევე წარმოდგენილი იქნა 20.01.2015წ. №1688777 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის გეგმები შესაბამისი გასწორებული ექსპლიკაციით.

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, დაადგინდა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და წარმოდგენილი გეგმები შესაბამისობაშია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან. ამასთან, განსახორციელებელი ცვლილება ასევე გავლენას ახდენს სამსახურის 20.01.2015წ. №1688777 ბრძანებაში ასახულ საერთო ფართობზე, რომელიც ცვლილების შედეგად, შეადგენს 4941.62 კვ.მ.–ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 20.01.2015წ. №1688777 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 414.57, საერთო ფართობი (კვ.მ).: 4941.62, სხვა მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.
2. საპროექტო დოკუმენტაციას დაერთოს წინამდებარე 04/02/2015წ. AR1282654 განაცხადით წარმოდგენილი საპროექტო ობიექტის გეგმები.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 20.01.2015წ. №1688777 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლოს ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6), ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.